საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 218

2011 წ. "06" 09.

ქ. თბილისი

შპს - ,,ლაზეთისთვის" ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ

შპს - ,,ლაზეთის" მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 6-7 სექტემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ,,ლაზეთს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 220004242) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 6-7 სექტემბრის №19 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია